საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/91

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2017 წ

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2017 წლის 25 ოქტომბრის MES 7 17 01310870 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებზე (იხილეთ საერთაშორისო ურთიერთობების ველში) სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს საკონკურსო ვადები:
   ა) საბუთების მიღება 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2017 წლის 07 ნოემბრამდე (18:00 საათამდე) - კანცელარიის მეშვეობით და ელექტრონულ ბმულზე: (http://registration.bsu.ge/Results-1.php; http://registration.bsu.ge/Results-2.php).
   ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება 2017 წლის 08 ნოემბერი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი;
   გ) გამოცდა (ფორმა - ტესტირება) ინგლისურ ენაში (B1დონე - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის; B2 დონე - მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის) 2017 წლის 09 ნოემბერი (საგამოცდო ცენტრში);
   გ) 2017 წლის 13-14 ნოემბერი - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან ბსუ-ს პირველ კორპუსში, ოთახი №35 (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35).
2. დამტკიცდეს კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი (დანართი 1).
3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:
   ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) ხათუნა ხაბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ქეთევან დევაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას დაემატოს შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გასაუბრების ეტაპზე.

5. კომისიამ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე დაადგინოს გასაუბრების განრიგი, ასევე უფლება მიეცეს მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საგრანტო პროექტის მოთხოვნებიდან.

6. ბრძანება განთავდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფაზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე), რისი უზრუვნელყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და კანცელარიას.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2017 წლის

23 ოქტომბერი №01-08/91 ბრძანების დანართი №1

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებასა და კანდიდატთა შერჩევას.
2. კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება 3 ეტაპად შემდეგნაირად:

ა) I ეტაპი: კანდიდატების მიერ დადგენილ დროში შემოტანილი საბუთების შეფასება(მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა	კანდიდატის ქულა
აკადემიური მოსწრება	20 (=აკადემიური მოსწრების 100 ქულას)	
სამოტივაციო წერილი	10 (0-10)	
CV	10 (0-10)	

ბ) II ეტაპი: ინგლისური ენის ტესტი (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა)

1. გამსვლელი ქულა - 100 ქულიანი ტესტის არანაკლებ 71 ქულა (კანდიდატის მე-2 ეტაპზე შეფასების 28 ქულა);
2. კანდიდატის შეფასება გამოითვლება შემდეგი პროპორციის გათვალისწინებით: 100 ქულა=მაქსიმალურ შეფასებას (40 ქულა).

გ) III ეტაპი: გასაუბრება (მაქსიმალური 20 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა
დარგობრივი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, პრეზენტაბელურობა	15 (5-5-5)
ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა	5 (0-5)

3. პრიორიტეტები ენიჭება კანდიდატს, რომელსაც:

ა) არ უსარგებლია ევროკავშირის გაცვლითი პროგრამით;

ბ) აქვს სასწავლო პროგრამის (პროგრამით გათვალისწინებული საგნების) თანხვედრა მშობლიურ და მიმღებ უნივერსიტეტებში;

გ) აქვს სოციალურ-ეკონომიური, ჯანმრთელობის პრობლემები (დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით/ცნობით).

4. კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება შემდეგ შემთხვევებში:

ა) არასრულად არის შევსებული აპლიკაცია (არ ერთვის CV, სამოტივაციო წერილი, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა ან სხვა საჭირო დოკუმენტაცია);

ბ) კანდიდატს შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

5. კანდიდატი მოიხსნება კონკურსიდან და არ დაიშვება მე-3 ეტაპზე (გასაუბრება), თუკი ინგლისური ენის ტესტირების შედეგად მიღებული ქულა საერთო შეფასებიდან (40 ქულა) არის 28 ან ნაკლები.
6. კონკურსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების (საბუთების გადარჩევის, ტესტირების, გასაუბრების განრიგის და გასაუბრების შედეგების) ბსუ-ს ვებ გვერდზე გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შესაბამის ველებში: „კონკურსები" და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სიახლეების ველში).
7. ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები გაიგზავნება მიმღებ უნივერსიტეტებში არაუგვიანეს 2017 წლის 15 ნოემბრისა.
8. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსის ველში) და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების საფუძველზე.